

რევოლუციის მუზეუმი  
MUSEE REVOLUTIONNAIRE  
თბილისი

# ნეშადური



№ 24

სოციალ-დემოკრატიული ყურნალი

№ 24

რუსული მწერლობა და ხელოვნება

ქვეყნის მპყრობელნი და მბრძანებელნი.



ალექსანდრე სუმბათაშვილი  
(იშვილი)

თავ. აღ. სუმბათაშვილს

შენი რაა, რომ ამშვენებ  
შენს დამღუპველს ოსმალებსა?  
ი. ჭავჭავაძე.

ნიჭით მალალი ივერიელი,  
ცივ ჩრდილოეთსა მიჰკიდლებია;  
იქ აქლერს ჩანგსა ათრთოლებფოსა,  
ტურფა სამშობლოს დაჰშორებია..



აბდულა ჰამიდ (ოსმალიანის ხონთქარი).

წმინდა საქმენი და ხელოვნება  
სხვას უტკობს გრძნობას, სხვას უძღვრს გულსა;  
თვის ბედშავ ერს კი შორით უცქერის  
სევდით შებყრობილს, აცრემლებულსა!..

მამულიშვილო! სამშობლო მხარე  
დღეს კვლავ „ღალატით“ აოხრებულა,  
მაგრამ ის მაინც საღამს მოგიძღვნის,  
შუბლი შვილისა დაფნით შეგკულა!

ა. შ-ლი.

### სოციალ-დემოკრატიის სოფლად

როდესაც რეაქციის ხარველმა ქარიშხალმა ქართლსა და იმერეთს საზარლად დაუქროლა, გადაქცეა და განადგურა იქაურთა, ერთ-ერთ განუთის რეაქციის დაჯგუფებით გაუგებზავრე განადგურებულ დაბებსა და სოფლებს დასათვალიერებლათ და იქ მომხდარ სსსტიკობისა, მხეცობისა და საზიზღარი ცნობების მოსაგროვებდა.

გულ-შემზარავ სურათს წარმოადგენდა ჩვენი დაბ-სოფლები: ცხინვალდი, ხაშური, ხარაგაული, ყვრილი, სხინორე და მრავალი სხვა ადგილები, რომლებიც კი რკინის გზას ახლო მდებარეობდა და რომლებსაც დამსჯ რაზმი გზა და გზა, ისე, სხვათა შორის, თავის საზარელ ნიშანსა სდებდა. გადამწვარ-გაბრუნებული ადგილები მოწმობდა გამარჯვებულ ადამიანის სიმხეცეს, რომელსაც ვერ აძლავს ვერც სისხლი, ვერც ტანჯვა დამცირებულისა. კვალ-დაკვალ მივდივართ რაზმის ნაგავს, ვნიშნავდი უბის წიგნაკში გადამწვართა, დაზარალებულთა, მოკლულთა, გაუხარებულთა, გაძარცვულთა და ნაცემთა რიცხვის რაოდენობას და გონებიდან არ შემორდებოდა ის ზარი, შიში, რომელიც განიდა სრულიად მოუფლანკლათ წინააღმდეგობით ატარებულმა და იმედით სავსე, თავისუფლებისათვის მებრძოლმა ხალხმა. ვინც ბედნიერი იყო მხოლოდ შიშს განიცდიდა, ვინც უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული ზნეობრივად და ქონებრივად დაიდუმა. მგონი, რომ ამ გვარი უბედურება ძნელად დასტეხია თავს ადამიანს თავის სიცოცხლეში და მეგონა, რომ ხალხი უბედურეს სასწრაფოთილობას მიეცემოდა, მაგრამ ხალხს არც სახესე, არც ქცევამ არ ეტოვებოდა არც სასწრაფოთილობა, არც დაბნევა და დაძაბუნება. ხალხი გამოიყურებოდა ისე, როგორც ადამიანი, რომელიც გადურჩა უღმრთე სტიქიონს, სტეპს და უხარბან, რომ სტიქიონმა გადარა, წავიდა და აღარ დაბრუნდება.

ამ გარემოებამ უსიამოვნოდ გამოაცხა და ჩამაოქრა; თავს ვიტუნდი და ვერაფრით ვერ ამეხსნა ეს უცნაური მოვლენა. როგორ? ხალხს მაძრავდა ჩაუქრეს, მისი წმიდა იდელები, მისი მისწრაფებანი, იმედები გადალახეს, გადასთელეს, შემუსრეს; ესეც არ აკმარეს, საწილ-საბადებელი გადაუწვეს, უფრო გადაობეს, უფლებში თავი უფრო მაგრათ ჩაუქრეს, ზირუტუვის უფლებანიც კი წართვეს და ხალხი არ სწუხს, არ გოდებს, თითქმის უხარბან კიდევ, თავისუფლად სუნთქვას, მოქმედებს! ეს ხომ დაუჭერებელი ამბავია, ეს ხომ ისეთი მოვლენაა ადამიანის ცნობრივობისა, რომ მისი ახსნა-განმარტება საერთოდ შესაძლებელი არ ექვემდებარება! ვფიქრობდი ამას, ვგრდილობდი მის აღსნას, მაგრამ ამოვად, ბოლოს

გარდაწვევით, თვით ხალხშივე მეზოგნა ნასიკო-რემის გამოსნაც შემდეგში ადვილი იქნებოდა. ზირველ ხანაში საქმე მეტად გამიხედავდა. ვინც რასმეს ვკითხავდი შიშით შემამხედავდა, ათვალიერებდა ჩემს ტანისამოსს, შემდეგ თავს დახრიდა და ზახუნს მომიგებდა. მაგრამ აშკარა იყო, ცრუობდა. გათქმისა ეშინოდა და სიმარტელეს მიმალავდა. ბოლოს ბევრი ცდისა და დაუჯგუბას შემდეგ, ერთი გლენმა კარგა ხანს მიუყრა, თავი გაიქნია, სჩანს გადაწვევითა, არაფერი დაუმალა ჩემთვის და მითხრა: გეტყვი მართლს, თუ ანგრე გინდა!

— შე დალოცვილო, მითხრა იმან სხვათა შორის, ას რაც მოხდა, ერთ დღეს მოხდა. სეტყვამ წამოგვიშინა და გადაარა. ახლა თავისუფლათ მანინც ვსუნთქავთ!

— თავისუფლად სუნთქავთ?!

— დიას, თავისუფლათ ვსუნთქავთ! — მამიგო მკვანხეთ გლენმა, ორი წელიწადი უკლები თოკი გვქონდა წაჭერილი და ვინაობდით! არ გჯერათ განა? აქ უნდა ყოფილიყო იმ დროს და დაიჭვრებდით. ამ ხნის განმავლობაში ჩვენში ცნობრივია კი არა, ჯოჯოხეთი იყო. ათჯერ გავგძვრა ტყავი, გაგდატაკდით, სულის აქეთ აღარაფერი გვაბადია. აღარ შეგვრჩა აღარც ქონება და აღარც სულა!

— ვინ, ვინ არ შეგარჩინათ ქონება და სული, ვინ გაგიწვართ ანგრე, ისედაც დატანჯული სიცოცხლე?

— ვინ? თქვენმა მქდაკელებმა და რაზმელებმა!

— ?!

— ცოტა დიდხანს რომ გაკრძებულყოფიეს საქმე, ჩვენ მეტად აღარ დაგვრჩინოდა რა, ცოლშივილისთვის ეგლები უნდა დაგვეტრა და სადმე უნდა გადავცვივნილი ვიყოთ. ნათქვამია: „ვინს გაუგარე, ვუის შეგუარე“ — გან გრძო მწარედ გლენმა — „ვინ“ სჯობდა „გუის“! გუშინ ერთი ბატონი მუყვდა, ოთხი, ხუთი, მძარცველი, დღეს ასი ბატონი გამიხნდა და ჩუთასი მძარცველი. გვძარცვავდენ იარაღით ხელში. თუ არ გაძარცვებოდი, მოგკლავდენ და ზატონი არსად იყო. ზირუტუვის არ მოექცევა ისე ადამიანი, როგორც ისინი გვეტყვოდენ, ქ თამს ვერ დაკლავს ისე ადვილად ადამიანი, როგორც ისინი ჩვენ კაცს ხტავდენ და იკლებდენ. ეს — ამოცხრა — რამდენი ერთი გითხრა, რომ არ ვინც! ახლა შიში? შიშს აღარ იტყვით? ამ ორი წლის განმავლობაში ერთ დამეს ტკბილად არ დაგვიძინია. უოველ წუთს, უოველ საათს, უველა ჩვენგანი სიკვდილისა, ცემს და დარბევას მოკლდა. მიუტრებდენ დღე, დამე დაბეჭდებულს და ასტრებოდა წივილი - კივილი, ევირილი და თოფას სრულა.

ასე დაზარაობდა და დღესაც დაზარაობს გლენი და იმედებში მოტყუებულს მწარედ ჩაუქინდავს თავი.

— თუ ერთობა ამხარია, არ მინდა, არა! — ამბობს გაჭვრებული.



ეროვნული  
წიგლიერთობა

— ჩვენთვის გული არავის შესტივია, არა! — ამბობს გულ ნატკენი და იმედ დაკარგული.

ერთი გლეხი გულ ნათუთქული შეღაპარაკობდა — ვიღასაგანაც კამიგონია, უწინდელ დროში ერთგვარი ხალხი ბავშვებს აწვავდნენ. ბავშვს კატიტვლებდნენ, ქვეშ ბამბას გაუშლიდნენ. გაწმეპეხვივადნენ რამდენიმე კაცი, რომლებსაც თურმე, ერთ ხელში ს.დგისი ეჭირა, მეორეში წითელი ვაშლი. მადი ჩემთან, ვაშლს მოგცემი ერთედა თურმე ერთი, ბავშვი რომ მივიღოდა, ს.დგისს უხხვლეტდა და სისხლს გამოადგინდა. ეგ ცუდი კაცია, ჩემთან მოდა, მე მოგცემ ვაშლს! — ერთედა მეორე და რომ მივიღოდა, ისიც უხხვლეტდა. ჩვენი გლეხის საქმე ამ გვარია — დამთავრა გლეხმა თავისი ღეკენდა.

მესმოდა ამგვარი ღაპარაკი ყველგან, ყოველ სოფელში, მაგრამ არ უჭყრებდი. შეტად ძნელი დასაჭყრებელი იყო! სჭირა იყო საქმის გამოძიება და გამოვიძიე კიდეც. ჭარის მოქმედების ცნობებთან ერთად ვჭყრებდი ცნობებს ზრახვანდისტუბისას, რაზმელებისა და სხვა ამგვარ „ხალხის მეგობართა“ მოქმედებისაც და... როგორ გკანია მკითხველმ? ამ უკანასკნელთა უსწინდისობამ, სისასტიკემ, საზიზღრობამ, ყველა მათ ჩანდენმა „საგმირა საქმეებმა“ მოლაღ დაწრდილეს, გაჭყრეულეს, კაცივუს ზირეულთ ნამოქმედარი!

სამინელებსა! მაგრამ ამას მოწმობს უტყუარი ფაქტები. ეს ფაქტები ნათლად ამტკიცებენ, რომ ხალხის მტერი ისე საზიზღრად არ მოჭყრეუია ხალხს, რაგორც „ხალხის მეგობარი“. თუ იქ გაძარცვეს არა-სამი ადამიანი, აქ გაძარცვეს მთელი ხალხი! თუ იქ გადასწვეს ათი შენობა, აქ გადასწვეს ასი, თუ იქ გაუხატოურეს სამი ქალი, აქ გაუხატოურეს სამასი, თუ იქ მოჭკვეს ათი კაცი, აქ მოჭკვეს ასი და სხვა.

აი რას მოწმობს განმათავისუფლებულ მოძრაობის ისტორიის ერთი მხარე სოციალდემოკრატიის დიქტატურის მართვა-გამგეობის ქვეშ!

მაგრამ ეს ჩვენი წერილი, რომ არ გკანოს მკითხველს ის დაუსრულებელი კამითი, ღანდკა-გინება, ერთი-ერთმანჯრთის დამცირება და საზიზღარი ხრიკები, რომელსაც ხშირად ხმარობენ ჩვენში მომქმედი ზარტიკი და სხვა და სხვა მამართულების ყურხალ-გაზეთობა, ამიტომ შეუდგეთ ზირდაზირ ფაქტების დაწუსებას.

(შემდეგი იქნება).

ხეობელი.

306 ზარ?

გულნინ ყმაწვილი ვიყავ, და დღეს კი ბებერი ვარ. ბევრი არც მაშინ ვიყავ... დღესაც არაფერი ვარ.

\*\*

მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ მოღვაწედ ვსწერივარ! ზოგს ზეკაციც ვგონივარ, მაგრამ მე კი მწერი ვარ!

\*\*

ვებრძვი ყველას, ქვეყანა, ცოტასაც არ ვჯერი ვარ, მაგრამ რა გამოვიდა, თურმე თავის მტერი ვარ!..

\*\*

სიტყვით, აბა, რა არ ვარ? თითქმის ყველაფერი ვარ! მაგრამ საქმით კი ყველგან ვილაცა, ოხერი ვარ!..

\*\*

საღვგრძლოს ჩემსას სმენ, და მე კი მშიერი ვარ! ყველას გულში ვუზივარ!.. სატრფოს ფეხთა მტერი ვარ!..

\*\*

ამისთანა ყოფაში გინდ ვიყო და გინდ არა!.. ნურც არავინ რამეს მთხოვს და არც სხვისი მინდა რა!!

ს. პეტერბურლი  
იანვ. 908 წ.

აკაკი.

ლექსი პროზათ  
დაჭკნა ვარდი

ვიჯე ტყის ახლოს .. თვალნი გარშემო ვერა ხედვიდენ ვერა საამოს... ას წლოვან ხეებს, ბუმბერაზებს, ნაზსა მცენარეთ რტონი-ფოთოლნი ქვე დაცხარათ ..

ნადირნი ტყისა უტყვათ ვილოდნენ...

ზეცილ ფრთ-ასანნი, თავისუფალნი, ბუნებისა მოტრფიალენი, მისი მგოსანნი არღა მღეროდენ, აღარ იტყოდენ ტკბილ ხზოვანსა საგალობელსა.

ყინვას დაეზრა სრულიდ სამყარო, არვინ ელოდა თითქოს სხ-ვა ცხოველ-მყოფელსა.

უეცრივ ეგ ბუნების არარაობა გამოერკვია, თითქოს სიკვდილით! ..

სხივი!

აღმოხდა სხივი და სტყორცნა მან თვის ძლიერება სამყაროს უტყვსა, მიძინებულსა... უწყო აღერსი მისა სუმბულსა... ტყე შეხმაურდა...

თავი აიღო ვარდის კოკორმა... გადიშალა იგი თვალთ-წარმტაცის მშვენიერებით და სურნე-



ლება ამო უხვათ მოფინა არე-მარესა, სიტკობება აგრძნობინა უხმო ბუნებას და ადამიანს გულ-მწუხარესა.

მიველ მეც ვარდთან და საამო დაჩაგრულ გულს მისით ვიტკობდი... თავ-დავიწყებით მას ვალერ-სობდი, ვენაცვალებოდი...

ვაგლახ!

ხან მოკლე იყო იგი აღტაცებანი... სუსხმა დაბერა... მალე მოუსპო სამყარო ღხენა-შეგებანი კულავ გაუჩნდა მწუხარება, გაუჩნდა დარდი... და დაქკნა ვარდი!..

თიმა პუსა.



წერა-კითხვის საზოგადოების კრება და სოციალდემოკრატების დევგმირები.

### ქველსა და ახალ წლებს

ბებერმა წელმა ძალ-უმადურად მოქამა თვისი ბილწი დღენია... ბევრი შეგვასვა სამსალა, სული დაგვიტყვევა, გულს მისცა გენია.

სამშობლოს მკერდი აყვავებთლი, მაძლარი ყანით შემოსილია, მოტუსა უღვთოდ, გაავერანა და დაამშია შრომის შვილია.

სატრფო კვლავ მტერსა ჰყავს დატყვევნილი, ხალხი კვლავ კენესის მძიმე უღელში, მტარვალ-მდიდარი მუშას კვლავ სისხლს სწოვს, სამართალია კვლავ განსაცდელში.

ბრძოლა უკეთეს მომავლისათვის, სულსწრაფვა ძვირფას იდეალისკენ ამაო ჰქმნა; თითით მაჩვენა ერთი მხოლოდ გზა: შავს სამარისკენ.

რჩეულნი, რომელთ გამოუცხადეს სასტიკი ომი ძალმომრეობას, ან შეეწირენ მსხვერპლად თვისს ძიზანს, ან განიცდიან მწარე ტყვეობს.

ქორფებს დედის წინ მახვილით სჩებდნენ, ვაჟკაცთ არჩობდნენ, ტყვეით ხვრეტდნენ, თვით გენიოსს შუბლს, ერს დიდებას მხეცურათ ჰკლავდნენ, ფეხით სთელავდნენ!

ოჯახის ბურჯი, სოფლისა თვალი, გროშისთვის ძმას ჰკლავს, გამხეცებულა, და ეს ქვეყანა, სხვისთვის ედემი, შავ ჯოჯოხეთად ჩვენთვის ქცეულა!

სიკვდილი შავი დამკვიდრებულა, სადაც სიცოცხლე სჩქეფავდა-ღვიოდა; სამშობლოს გლოვის ძაძა ემოსა, ქირისუფლად ცა იმღურებოდა.

რა მომცა ძველმა წყეულმა წელმა, რომ ახლისაგან ველოდე კარგსა? ახალწელი ხომ ძველის შვილია, და განა ძალდი შობავს ბატკანსა?

ძველმა სიცოცხლის მიზანი მოსპო გულს კაეშანი დამისადგურა... უიმედობა ჩაგვრა-მონობა ჩემს ქვეყანას ზედ წამოაბურა!..

იყავ წყეული, წარსულო წელო, განჭრი, ერიე არარაობას!.. ახაოო, ვუწყი კარგს არ მიქადი, მიტომ შენც გიძღვნი წყევას და გმობას!

ანტონ დარჩიაშვილი.

### საშინელებანი

(გეიერისა)

ჩუმათა და ფარულად, ღამე მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— გინდა საშინელებანი საშობაო მოთხრობი-სათვისაო?

და მე დავინახე.

...თოვლის ზვინებს შუა, ოღნავ მოსჩანს პატარა სოფელი. ქონებს ჩალის სახურავი არა აქვთ და ჩარდახში ქარი თავისუფლად დასეირნებს. ოთახში სიცივეა. ბუნჩრები აღარა ბოლავენ; ყველაფერი მიმკვლარებულა, მიჩუმებულა; აღარც ძალ-



ლები ყეფის ხმა ისმის. ისინი უკვე სიმშლისგან დახოცილან.

— დედილო, დე-დი-ლო, — გაისმის ვილაკას წუწინი: — დედილო, პური მშია, — და რაღაცა პატარა მოძრაობს ქუტყიან ძონძებ ქვეშ.


მაგრამ მას პასუხს არავინ აძლევს. სიცივისაგან მოცახცახე ახალგაზნდა დედაკაცი ჩამქრალ ქურასთან მიმჯდარა. უგუნურობით აღსავსეა მისი შეხედულობა და ხრინწიანად ოდნავ სუნთქავს — სულთებრძვის.

— დედილო!..

ქარიშხალი შეუსვენებლივ ღმუის... ცულები ხმა მალლა რაკუნებენ და უზარმაზარი ხეები საშინელის ხმაურობით ძირს ეცემიან.

— მედგრათ ყმაწვილებო!

გაძვალტყავებულ ცხენებს, წინად უგრძნიათ რა მოსალოდნელი წრეს-გასული მუშაობა, თავები ჩაუქინდრავთ და დაღონებულნი უძრმვათასდგანან.



გაზეთს განცხადება ასულდგმულებს.

უეცრივ ტაცა-ტაკუცი და ცხენების ფეხის ხმა მოისმა.

— ჯარის კაცები! — შეჰყვირა ვილაკას შეშინებულმა ხმამ.

გლებები გარბიან. მათ გამოედევნეს და მათრახებს ზუზუნნი გააქვთ.

— სისხლის მსმელგბო! ნუ თუ ჯვარი არა გკიდიათ გულზედ, რომ თქვენებს ესვრიოთ, ხოცავთ?!

და ძირს ეცემიან ადამიანები, რომლებიც თეთრ თოვლზე შავად მოსჩანან..

ღამით კი ყველაფერი წითლად შედგებულა, გაელვარებული. ცეცხლის ალები კარ-მიდამოებს ლოკავენ. გარბიან გრძელი, საშიშარი აჩრდილები, მოისმის ნაბათის შემზარავი, განწირული გუგუნის წითელი ცა ცახცახებს და ისე მოსჩანს, გგონებთ გაქდენთილა იმ სისხლით, რომელიც დედა-

მიწაზედ დაქცეულა... დედამიწაზედ დაქცეულნი ნარევი ქარიშხალი საშინლათა ღმუის

...აქაც სიწითლეა. სახლის წინ ხალხი ღრიალებს. შიშისგან თითქმის ქკუაზე შემოილი, ბოლისგან სულთქმა შეხუთული ადამიანები მეოთხე სართულის ფანჯრებიდან თავზარდაცემულნი თავსა ჰყოფენ...

— გვიშველეთ! დავახოცენით! — მოისმის მათი განწირული ყვირილი, პასუხად გაისმის თოფების ბათქა-ბუთქი და აღფრთოვანებულ, გაშმაგებულ ბრბოს გუგუნის.

ვილაკ გადმოხტა. დამტვრეულ, დამახინჯებულ სხეულს დაეხინჯნ გამხეცებულნი ადამიანები. რა პირუტყვები და მხეცები არიან, ერთი მეორეს აწვებიან, ფეხ ქვეშ იგდებენ; სხეულს ნაწილ-ნაწილად გლეჯენ; აღის ფერი სისხლი დედამიწას რწყავს.

ეკლესიის ზირები გუგუნებენ.

— სიკვდილი კრამოლნიკებს!

აღი გასწივის, სახლების სახურავები ინგრევა და ცეცხლის ნაპერწკლები მალლა, თითქმის ცამდე მოჰფრინავენ.

...აი, აქ მზეა. გაბრწყინვალებული, გახარებული ბრბო თავისიფლათ მოდის, თითქოს წყნარად უქმობს თავის გამარჯვებასო.

ის დარწმუნებულია, რომ „გაიმარჯვა“. სახეზე ღიმი უქრით, იცინიან. მაგრამ, უეცრივ ზედიზედ თოფების გრიალი მოისმა.

ბრბო შეკრთა. ადამიანები განუწყვეტლივ ძირს ეცემიან, მიწას ენართხებიან.

— რა ამბავია?


პასუხი არსადაა. მოისმის მხოლოდ ხმლების ჩხარა-ჩხური და დამტვრეულ ფანჯრების წკრიალი. არავის ინდობენ; ფანჯრებიდან ძირს, ქვა-ფენილზედ ისვრიან ბავშვებს, მოხუცებულებს.

...მხოლოდ დაწყვილიდებულ-ჩაშავებული ციხეა გაჩუმებული. ასი-ათასობით საუკეთესო ადამიანებს მარტოობით გული ელევათ, ზნეობრივ ტანჯვებისგან მწუხარება იცავს მათ არსებას.

ისინი დამნაშავე არიან იმაში, რომ ხალხისთვის თავსა სწირავდენ, რომ უარ ჰყვეს ცხოვრება სიცრუე-გარყენირებაში და მოძალადეთა საზიზღარ უღელ ქვეშ.

როდესაც დადგება ხოლმე შავ-ბნელი ღამე, დაპატიმრებულნი მიდიან რკინის ფანჯრებთან, დიღხანს დგანან იქ და გაიკტირებიან გაუმსქვრეტ, მოსაწყენ სიბნელისკენ.

ქარი შეუჩერებლივ ღმუის, მასში თითქოს მოისმის ცეცხლის წული, კვნესა, ყვირილი და ამათ შორის კი ვილაკას ძლივს გასაგონი, სამწუხარო ხმა:



— დედილო, პური მზია!  
და უილაჯობისა და ულონობის ნიშნად პატრ-  
მარნი თავ-განწირვით ეხეთქებიან საპყრობილეს სქელ  
კედლებს.

— წყევლა, კრულვა, შეჩვენება!..

..იმ ღამეს, როდესაც თქვენს სახლში წხია-  
რულად აპრიალბულ სანთლებით მორთული შო-  
ბის ხე ბრწყინავდა და სიხარულით ეგებებოდი  
ქრისდეს ღღესასწაულს, რად არ მიხვედით ფანჯა-  
რასთან და არ გადახედვით?

მაშინ, მერწმუნეთ, მაგრე უღარდელით ვერ  
იმხიარულდებით.

დ. ელიოზიშვილი.

### მთვარეს

სად მიხვალ მთვარევ, ღამაზო, კარგო,  
მაგ შავს ღრუბლებში არ დაიკარგო,  
თორემ სიბნელე, სიცოცხლის ვნება,  
სამშობლო მხარეს ჩამოაწვება!

—  
არა გრიალებს მრისხანე ქარი,  
დედამიწის და ცისა შენზარი,  
რომ გაიქნიოს ძლიერი ფრთები  
და ცას მოსწმინდოს შავი ღრუბლები.

—  
მაშ მანდ ნუ მიხვალ მთვარევ კარგო,  
მაგ შავს ღრუბლებში არ დაიკარგო,  
თორემ სიბნელე, სიცოცხლის ვნება  
სამშობლო მხარეს ჩამოაწვება!

ი. მჭედლიშვილი.

### ბუნება და ცხოველი

(პაწია სურათი საფრანგეთის რევოლიუციის დროისა)

სექტემბრის ბოლო დღეებია, თუმცა უფრო  
აპრილის დღეს მოგაგონებდათ.

ქარი მოუსვენრად ზუზუნებდა: ძირს მტვერს  
აფორიაქებდა და მალა შავს ღრუბლებს ერთად  
უყრიდა თავსა, როცა მზე იწონებდა თავსა.

ვინ არ იცის ეს ადგილი, რომელიც განგებას  
სამოთხეთ შეჟქმნია. ხოლო იქ მცხოვრებთ, რო-  
გორც ადამის ძენტ, მისი ხილი უკვდავებისა ჯერ  
ვერ ეხილათ.

მზე თავმოწონებით დაიქვირებოდა. თავი  
სხივებს აწვდიდა იმ მიდამოს ყოველ არსებას.  
ისინიც სარგებლობდნენ, ხოლო მზის სიმზურვალით  
და არა სინათლით.

მერე, ვინ უნდა ისარგებლოს მზის სხივითა?—

ადამიანმა!—ხოლო ადამიანი-კი პირუტყვივით სით-  
ბოს რჩეობს, სინათლეს კი გაუბრუნებდა. როგორც  
ადამი ცოლას შემდეგ ღმერთსა.

ქარმა შეაწუხა ყოველი არსება: სულდგმული  
თუ უსულო; ვენახს დასცვივდა ყოველი სუსტი  
ნაყოფი; არც მალა ტყეს დაეყარა კეთილი, რო-  
მელი ხეც კი უნაყოფო და ფესვ მაშპალი იყო სულ  
მთლად ძირს დასცა დედამიწის საპატიოთ.

ამ შუნდობელ ქარს თითქო ვერ გაუძლო ბუ-  
ნებამ და ზეცამ გადმონთხია ცრემლები— დაუშო  
კაკის პირული წვიმა.

ბუნების ბრძოლამ დიდხანს ვეღარ გასტანა.  
ზეცამ იგრძნო დამარცხება და როგორც ღონე  
მოუკრებმა—ჯერეთ სუსტმა—დაჰყარა თავის იარა-  
ღი ბრძოლისა და გაყუჩდა. ბუნება ჩადგა ისევ ძველ  
კალაპოტში.

ქარი უკანასკნელად გაზუზუნდა. წვიმამ გა-  
დლო. ღრუბლებიც საცა-და, მიმალ-მოამალნენ,  
დაიფანტნენ. ხოლო მთებიდან დაქანებულნი მორ-  
ბოდნენ მდინარეები და ძირს უერთდებოდნენ ნია-  
ღვარს.

მზემ გადმოსტყორცნა თავისი სხავეები და ზე-  
ცამ გადმოაფინა თავისი ჩვეულებრივად ლურჯი  
სინაურე. ზუზუბას თავისი ძველებური ფერი მიეცა.

—  
„თავისუფალ ფრინველებმა დაიწყეს მხიარუ-  
ლად ნავარდობა ყოველი დაფრინაკს საზრდოს  
საშოვნელადა. ესენი ჰკმარობენ, რაც დღესა შო-  
ულობენ, ხოლო სახვალიოდ, ხვალ იზრუნავენ.

მტრედი დამჯდარა კაკის ხის ტოტზედ და  
ტკბილათ ეღუღუნება თავის მეგობარ მეუღლესა.  
ესენი კმაყოფილნი არიან, მაგრამ დახე? ამათაც  
ჰყოლია მტერი.

წამოჰქროლა კუზ ნისკარტა ფრინველმა სამ  
წყვილ მტრედსა, ერთი გულგახეთქილივით ძირს  
დაეცა და მეორე კი აიტაცა სისხლის მსმელმა.

პატარა ხნის შემდეგ მოსულიერდა ძირს და-  
ცემული მტრედი; თვალი მოაღლო გარსა: შეამჩ-  
ნია ძირს დაბნეული ბურტყლები. რა იცნო თა-  
ვის მეგობარ მეუღლის ბუმბული და მწარედ დაი-  
ღუღუნა; შემდეგ უშიშრად აფრინდა განწირული  
გულში გავლით: „დაე მეც იმანვე წამილოს, რა-  
მაც ჩემი მეუღლე მომაშორა, მეც ივანვე მიმსხვერპ-  
ლოს“.

მაგრამ ამ დროს არწივს ამისთვის არა სცა-  
ლოდა. იგი ნისკარტ გათუთხნილი, უმანკო მტრე-  
დის სისხლითა, იძობდა გაუმძღარ კუქსა.

„ნეტა როდემდს უნდა სვას ძლიერმა ჩვენის-  
თანა სუსტის სისხლი? ხომ, ძლიერსაცა და სუსტ-  
საც იგივე სიცოცხლე აქვთ მიცემული არსებისა-  
უვის?“—ფიქრობდა ჩვენი მტრედი—ეს მშვენიერა



გულუხვი ბუნება, ხომ ყველა იმისთვის და ჩვენთვისაც არის? მაშ, რაღათ უნდა შევიქმნათ მსხვერპლი და დღე ნაკლები იყოს სუსტი ძლიერისათვისა? ამ ფიქრებით და კითხვებით დანაღვლიანებული დაჰყურებდა ძირს ბუმბულსა და მიფრინავდა. ამასთანავე შეხვედრილ პაწია ბუხებს, თვით-კი არ ინდობდა.

მაგრამ რა მოეთხოვება სისხლის მსმელს არწივს—უგონო, უტყველ არსებას; როდესაც ადამიანი—გონებიანი, მეტყველი—ჟარესა სჩადის.

ბევრი იფრინა ამ მტრედმა და შუაგულ ტყის ერთ ხის ტოტზედ შემოჯდა, დამარტოვებული მიეცა მწარე ფიქრებს. ეგონა აქ მაინც მოისვენებდა, მაგრამ მოსტყუვდა.

ფეხის ხმა მოესმა. მტრედმა შეამჩნია, მაგრამ არ დიძრა; თუმცა რამდენიმე მოახლოვებული თოფიც კი დაინახა და გაყუჩდა. არ ვიცი რა უნდოდა ამ უშიშრობით დი გულადობით, ხოლო ეს კი ვიცი, რომ რა ცკი ხდებოდა ყველაჟერს ხედავდა,

წინ მოდიოდა სამხედრო პართა უმფროსი ჩამოკიდებულ დაშნითა; მას მოსდევდა კაცი შავს ტანთსაცმელში, რაღაცა შავ აბგით ხელში; ამის შემდეგ ქალი და მის გარშემო კი ოთხი თოფიანი ჯარის კაცი.

ამავე ხესთან შეჩერდნენ. სრულა სიჩუმე ჩამოვარდა, ხეების ფოთლებიც კი არ ინძრვოდნენ. მტრედიც გაინაბა.

განკარგულების მიცემა დაიწყა უმფროსმა: ქალი ხესთან დააყენეს, ხელცახოცით თვალები აუხილეს, ერთი ჯარის კაცი რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით წინ დაუდგა და თოფი დაუმიზნა.

ქალმა ხელცახოცი ჩამოიგლიჯა და მიმართა თავის უმანკო ხმით:

— თვალებს ნუ მიხვევთ. თვალ ახილული მომკალით... მინდა უყურო სინათლეს, იგი ჩემთვის ნათელია... მე გამაქრობთ, მაგრამ მზე მაინც იბრწყინავს... მე მრწამს ადამიანის თავისუფლება... დაბრმავებულნო ვერ მიცნობთ? მე ვარ ოქვენის საყვარელი „რწმენა“..

ბოლო სიტყვები შეუერთდა თოფის ხმას, რომელნიც მოუთმენელ და ბრაზ მორეულ უმფროსის ბრძანებას—„ესროლეს“ მოჰყვა.

ქალი წაიქცა და ზედ შეშინებული მტრედიც დაეცა. მაგრამ გონს რომ მოვიდა, შეფთხრილდა და ისევ აფრინდა, თითქო „რწმენის“ სული თან წაიღოვო, სხვაგან გადასატანათ.

თოფის ხმამ მთელი ბუნება შეარყია. ადამიანისავე არსების დაცვისა ნაცვლად სიცოცხლე მო-

უსპო უმანკო თავისუფლების მქადაგებელ არსებას, ემს საყვარელს „რწმენას“... მერე იცით ვინ იქნის ის ჩემთვის? ის იყო ჩემი დანიშნული, რომელიც უნდა შემერთო, როდესაც სამსახურს გავათავებდი და სახლში დავბრუნდებოდი... მერე იცით ვისმა ხელმა მოუსპო ჩემს „რწმენას“ სიცოცხლე?.. მერე მე რითი ვარ იმაზედ ნაკლები ცოდვიანი, რომელმაც ქრისტეს ღახვარი ჰკრა? ვერ ვიცანი! ან რას ვიმზილი?

გულიმოჯდომით და თვაცებზედ ცრემლ-მორევით მიამბო ესა მოხუცმა, ჯარის კაცად ნამყოფმა ფრანგმა.

ს. გლახაშვილი.

### ნაძირალას ბოღება

ობოლს და ოხერს უბატრონოსა  
პატარობითვე,  
არავია მყავდა, ყური ეგლო  
ჩემთვინ დროითვე.  
დავრჩი უბინოთ ქუჩის ხალხისა  
ნაძირალ ბრბოში,  
მათ შემასწავლეს... ამიყოლიეს  
მლიქვნელობაში.  
დღეს ახალგაზდას ჯან-ლონით საესეს  
კოდნით საწყალსა,  
მიკიეინებენ ქუჩა-ქუჩა უქმათ  
ტანტალსა...  
მაბრამ სად არის, ხალხო, შენი  
სიმართლის ცნობა?  
ნუ თუ შორს წავა კიდენ შენი  
ვე გულქვაობა!?  
ვინ მიბატრონა, ვინ იბრუნა,  
ვინ რა მირჩია?  
ციხეს, ქურდობას, ავკაცობას,  
ვინ მიმაჩვია?  
ოჰ რა საზარლათ მეზიზღება  
და მთლად შემზარდა,  
თვით იგივე ხალხი, ვინც კი მე მშვა  
და ვინც ამზარდა:  
ასე ბედშავი... ნაძირალი,  
უცოდინარი!!  
ნეტავ თუ მართლა გასაკიცხი  
ჩვენში ვინ არი?

გიორგი უჩინარიძე.



ყოვლად შემძღვეწრწმენა— ვეიმარის ნახატი.

### მეტი ბვირთი

(სურათი ნამდვილიდან)

სალამო ხანი იყო, მე და ჩემი მეგობარი გავმოვედით გასასეირნებლად და გოლოვინის პროსპექტით გავემართეთ. ჯერ სულ ოციოდე ნაბიჯი არც კი გადაგვედგა, რომ ჩემს გვერდით მწარე ნაღველით და სამღურავით სავსე ხმა შემოგვესმა. მე უნებურად მივიხედე და იქვე დაფლეთილს ფარაჯაში გახვეული მოხუცი დავინახე იგი თავისებური აჩქარებული ნაბიჯით მოეშურებოდა ჩვენსკენ, აღბად იმიტომ, რომ საკმაოდ სუფთად ვიყავით ჩაცმული,

— ნუ დაიშურებთ მოხუცისთვის ერთ-ორ გროსს.— შემოვედრებულის და გაუბედავი ხმით მოგვემართა საბრალომ,— აგერ, მესამე დღეა, პური არ მიჭამია. ახლა აქ გავჩერდი, ეგებ ვინმემ გაიმეტოს რამე მეთქი, მაგრამ აქედანაც პოლიციელმა გამაგდო... ღმერთია მოწამე,— განაგრძო გლახამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკი,— უღირსად არავის-

გან ავიღებ ფულს, მაგრამ შეუბრალდებელი სიღარიბე და უძლურება მაიძულებს ხელი გაუშვაო ვამ-ვლელ-გამომვლელს ჭ მუდარის თვალით შევყურეო...

მე ცნობისმოყვარხობით შევხედე მოხუცს. იგი მართლაც დაუძლურებული და დავრდომილი გლახაკი იყო. კბილები ჩასცივენოდა, სიმშლისაგან გამხარი სახის ნაკრები სრულიად გადაგვარებულიყვნენ და ადამიანის შესახედაობა დაჰკარგვოდა. მუხლები გვეცებოდა, სცდილობდა არ ჩამორჩენიყო სვენს ძალოვანს ნაბიჯს, მაგრამ ამაოდ. . მე შემეცოდა იგი, მაგრამ სამწუხაროდ შეველა არ შემეძლო. ჩვენ ნაბიჯს მოუკვლით ცოტა.

— ბიძია,— მიუბრუნდი დარცხვენით მოხუცს, — თან არაფერი მაქვს, თორემ, მერწმუნე, პურის ფასს მაინც არ დავზოგავდი.

მოხუცმა ჩემს სიტყვებში და კლოში, რომლითაც იგი იყო წარმოთქმული, სრული სიმართლე და წრფელი გული დაინახა და მთელი თავისი ნღობით გადმოანთხია მის გულში ამდენი ხნის მოწოლილი ბოლმა ქვეყნიურს უსამართლობაზედ.

— რა ვუყოთ! ღმერთმა დიდი დღე მოგცეთ, შვილო... — მიპასუხა საბრალომ ისევე ნაწყვეტ-ნა-



დახეტ ჩვენი პარტია, რა რიგათ გამოცვლილა, ავტონომისტებითა სულერთიან ავსილა!





დარიალის ხეობაში — ზიჩის ნახატი.

წყვეტად, — თქვენ კეთილი, ტკბილი სიტყვით მაინც გაათბეთ ჩემი მოხუცი გული, სისხლს მოკლებული... ისიც კარგია, რომ ეგ მითხარი... მაგრამ ზოგი მაგასაც რომ არ იტყვის და ძალსაღვით „დაიკარგე“-ს დაიყვირებს?! რაღა დავიმალოთ, გეტყობათ, თქვენგან სიავე შორს არის და სიმართლის ნაპერწკალი ღვივის თქვენს კეთილშობილს გულში, ბავშვური გულადობა თავს არ მალავს... შეიძლება ჩემი თავგადასავალი თქვენ არაფრად გეკითხებათ, მაგრამ მაინც გეტყვით ჩემს ვინაობას, გაგაგებინებთ ჩემს წარსულს და აწმყოს; იქნებ, იმით მაინც ავიცილინო ცოტადნათ ის ექვი, რომელიც ყოველს თქვენგანს ებადება მთხოვარაზედ, რომელიც მასთან მოწყალეების სათხოვნელად მიდის, ხელს უშვერს. მე ჯერ ისევ ჯან ღონით საგვ ახალგაზდა ვიყავ, როდესაც ქარხანაში შევედი შავს მუშად. გეცოდინებათ, რა ყოფა-ცხოვრებაც აქვს ჩვენისთანა უპატრონო, დღიურ გროშით მცხოვრებს მუშას. მაგრამ მე ჩემის ბედით მაინც კმაყოფილი ვიყავ და მულამ ვერიდებოდი ჩვენი პატრონის ყოველგვარ ურჩობას და წინააღმდეგობას. ჩემი გაჭირვება-დაღბინება გულის სიღრმეში მქონდა ჩაკლული, ვეღარ ვგრძნობ-

დი, რადგან ხელს არევინ მახლებდა და, ასე გასინჯეთ, ბედნიერადაც კი ვთვლიდი ჩემს ცხოვრებას. როდესაც რომელიმე ამხანაგი ჩვენს უწყვეტ მუშაობაზე ბედზედ დაიწყებდა ჩივილს, მე მწარედ ჩავიცინებდი ხოლმე და გულში ვიტყოდი: „რა სულელი რამ არის! ღმერთს სიკეთე მიუცია და კიდევ არა სჯერდება ამგვარს ყოფას, მეტს ნდომობს“-მეთქი. მაგრამ გავიდა დრო; ბევრმა წყალმა ჩაიარა მას აქეთ და, ერთს დღეს იმ ბედმა, რომლითაც მე ასე კმაყოფილი ვიყავ, ქუჩისაკენ მიჩვენა გზა... დილით საღალამათი კარხანაში მისული საღამოზედ საავადმყოფოში ვიწექ ჯგონოდ და ვკვენსოდი. რამდენიმე კაცო თავს დამტრიალებდა და, ჩემს ხელს, მანქანაში მიყოლილს, მოჭრა დასჭირებოდა... მწარე ქეშმარიტებას რომ მე ჩემი მაცხოვრებელი მარჯველად მქონდა, უნდა შევრიგებოდი ძალაუნებურად... მხოლოდ იმედი და მაცოცხლებდა — იმედი, რომ ამ უბედურებას ცოტად მაინც ავინაზლაურებდი, შემპირალბედა ქარხნის პატრონი. გარშემო ყველა ამასვე მეუბნებოდა, მაგრამ იმედიც მალე გაჰქრა! მექარხნემ სულ სხვანაირად შეხედა საქმეს; სიცილით ახედ-დაჰხედა ჩემს დაძახინჯებულს მაჯას, რომელიც ოდესღაც მის სარჩოს ერთგულად ჰმატებდა მოგებას და გულგრილად მიიხრა:

— ტყუილად გარჯილხარ, ძამიავ! შენს ხელს აღარა ეშველება-რა. რაც აქამდე იმუშავე, იმის ფასი აღებული გაქვს და ისე კი ფულები მე ჩემს დღეში არ მიბნევია აქეთ-იქით და არც ახლა გადავყრი. შეგძლებოდა მუშაობა, ჩემთვისაც კარგი იყო, ჩუმი დამორჩილი იყავ, და შენც ცხოვრების საღსარი გექნებოდა. მაგრამ... რაღა მაგრამ, ხომ იცი, არმცალია! მშვიდობით. — შესწყვიტა ლაპარაკი მექარხნემ, ზურგი შემაქცია და ფანჯარაში დაიწყო ყურება.



სანოვანის სიძვირეში, მასალისთვის მიუგნია, არ ეძრახვის, რადგან „ეშმაკს“, კუჭი აქვს და კიდევ შია.

— გულჭეა ყოფილა! — აღმომხდა გულის სი-  
 ღრმიდან და თვალთ დამიბნელდა. მხოლოდ მაშინ  
 ვიგრძენ ჩემი შეცდომის მთელი საშინელება, რომ  
 მე ჩუმი და მორჩილი გიყავ. ბარბაცით გამოველ  
 მდიდრულად მორთულს ოთახიდან, სადაც ჰაერი  
 რაღაც შეხუთულად მეჩვენა და გარედ რომ დავი-  
 ნახე ჩემი თავი, ხარბად შევესუნთქე სუფთა, თავის-  
 უფალი ჰაერი. ალბად, ით ოთახში ჰაერიც საყი-  
 დელი იყო!... მას შემდეგ ბევრი ვიარე, ბევრს მი-  
 ვადექ კარზე, მაგრამ არავინ მიმიღო — ვერავის გა-  
 მოვადექ. ჩემი ამაგი არავინ დაინახა, არც მექარბ-  
 ნემ და არც მეფემ, რომელსაც ჩემი ერთად ერთი  
 შვილი, ჩემი იმედი და სიხალული, მსხვერპლად  
 შეეწირე... საღდაც შორს, ცივს, გაყინულს ქვეყა-  
 ში შესწყდა მისი სიცოცხლე. „ამავე, — მწერდა  
 ერთს წერილში, — სთქვა მოხუცმა და ამოიღო ჯი-  
 ბიდან ძვირფასი წერილი, — აი, ამაში მწერს, — ეხ-  
 ლა რომ ვუყურებ ამ საშინელ ამბავს, თავ-გზა მე-  
 კარგება. დამეებს თეთრათ ვათენებთ ზარბაზნების  
 დამაყრუებელს, შეუწყვეტელს ქექა-გრიალში. ბევ-  
 რს მტრულს ცხელს ტყვიას გაუვლია ჩემს ყურთან  
 ზუზუნთ... ირგვლივ დაქრალების და მომაკვდავე-  
 ბის კენესა-ოხვრა და ყველა ისმის. ვინ ოცის, რამ-  
 დენი ჯგელი ახილგაზდა ესალმემა წუთის სოფელს  
 და მერე რისთვის? ეს ღმერთმა უწყის, რა ჩვენი  
 საქმეა ამის ცოდნა — უბრალო ჯარის კაცის, რომ-  
 მელსაც სიკვდილის მეტი არა ეკითხება რა. ყოველს  
 წავს სიკვდილს ვუდღვევართ პირისპირ, გაშტერე-  
 ბულს, უაზრო თვალებში შევეყურებთ... ხშირად  
 რამდენიმე დღე უსმელ უქმელნი ვყრივართ, ან გამხ-  
 ბარს და ქვად ქცეულს შავს ზურზედ გადავდივართ.  
 ჩვენი ლოგინი ცივი დედამიწა და საბნად ცა გვა-  
 ხურია... წინა რიგებში სულ ჩვენი მოძმენი — ჯა-  
 რის კაცები ვართ, უფროსები კი ჩვენს ზურგს აფა-  
 რიან, ჩვენ ვზიდავთ ჩვენს მხრებზედ, ჩვენის მკერ-  
 დით მათს სიცოცხლეს, მათი საფარები ვართ...“ —  
 მოხუცმა ცრემლები გადმოჰყარა და წერილი ისევ  
 უბეში ჩაიდო. — და დღეს, — განაგრძო მოხუცმა,  
 — როდესაც მე სამხედრო პირს გაუწოდებ ხელი  
 მოწყალეობისთვის, მოვაგონე ჩემი წარსული, მან  
 ზედაც არ შემომხედა. მე არ მოვეშვი, ცოტაზედ  
 კიდევ გავყე, და განვუმეორე ჩემი სათხოვარი...  
 და მერე რა გგონიათ! ბრაზმორეულმა გადმომძახა:  
 „იქით დაიკარგეო!“ და მეც გულ დაწყვეტილი,  
 სასოწარკვეთილი, ტყვიანაკრავსავით მოვმორდი  
 საქაროდ. ცალკე სიმშლიისგან, ცალკე უიმედო-  
 ბისგან გული მიღონდებოდა და იქვე ახლოს ერთს  
 დიდ სახლს მივყარდნობოდი თურმე. მე ეს მაშინ  
 გავიგე, როდესაც გვერდში ვიგრძენ ძლიერი მუჯ-  
 ლუკუნის, რომელიც მექარემ მითავაზა. მე საცოდა-

ვად ავიღრიქე ტყვილისაგან და — ღმერთო შეგეკლ-  
 დე! — შურის თვალით შევხედე იმ ჩასუტებულს და  
 განცხრომაში მყოფს მეკარეს! ისიც რომ ჩემი მოძ-  
 მეა, მაგრამ დროებითს მიწიერს ნეტარებით დაბრ-  
 მავებულს, სჩანს, თავის მომივალი ვერ გაუთვალის-  
 წინებია. ეჰ, უსამართლოა ეს ქვეყანა, უსამართლო!  
 ნეტავ, ერთი ისეთი ძალა და ცოდნა მომცა, რომ  
 მთლად ეს ქვეყანა განვახლო, გარდავქმნა შეუდა-  
 რებელს სამოთხედ, სადაც ყველანი ერთნი ვიქმნე-  
 ბით, სიმართლევ სძლევს საზიზღარ ძალმომრეობას;  
 ძმობას, მოყვასთა სიყვარულს, თავისუფლებას ფარ-  
 თო გზას მივცემთ და სიღარიბესაც თვალს მოვთხ-  
 რით! მე გატყობთ, გიკვირთ ჩემი ლაპარაკი! არ  
 მოელოდით ამას ჩემსგან, რაც გესმით, განა? აბა,  
 დამხედეთ, რასა ვგვევარ, მართლა რომ სასაცილო  
 ვარ... იცოდეთ კი, რომ მეც ყური მოვკარ ამ სი-  
 ბერის დროს თქვენს მოღალადე ხმას და, თუმცა  
 ცალი ფეხი უკვე სამარეში მიდვას, მაგრამ მაინც  
 გამიტაცა ოქვენ აღფრთოვანებულ მისწრაფებათა  
 ძლიერმა ტალღამ. იქ ღარიბების უბანში, მეც ბე-  
 ვრჯერ მსმენია მწარე ქვემარტებით აღსავსე სიტ-  
 ყვები და ჩემშიც გაღვიძებულა ადამიანი, ნამდვი-  
 ლი ადამიანი... მშვიდობით, ჩემო ქვეგობრებო! წა-  
 ვალ, ახლა სხვანაირად დავდგები, ვგებ ცოტა რამ მა-  
 ინც ვიშოვო, ორიბრედ დღის სიცოცხლე და დამ-  
 რჩენია!... მერე კი ერთს არშინს მიწას ჩემთვისაც  
 არავინ დაიშურებს... მშვიდობით!...

მოხუცმა სევდიანათ ჩაიქნია გაძვალტყავებუ-  
 ლი ხელი და საქაროდ თავის გზას გაუდგა. ჩვენ  
 კი ერთს ადგილს ვიდექით გაქვავებულსავით. მისი  
 სიტყვები გულის სიღრმემდის ჩავგვწვდა...

— იგი მოხუცდა! — წავიბუტბუტე ბოლოს და  
 ამხანავს მივუბრუნდი. — იგი აღარავის სქირდება  
 და თავიდან იშორებენ, ხელს ჰკრავენ ცივს სამა-  
 რისკენ!

დ. დეკანოზიშვილი.

**პირუავებს.**

ფუ. ჟგვანო, რეტანო,  
 უკულმართ დროს ნაბიჭვარო,  
 ბნელეთისა მეგობარო,  
 სახსენებლად საზიზღარო!  
 დადგება დრო, ხალხი ადგეს,  
 აღარ მოგცეთ რამ საშველი,  
 ისე მოგსპობთ, რომ ამ ქვეყნად  
 გაქრეს თქვენი გზა საველია!

ალექსანდრე სუმბათაშვილის 25 წლის იუბილე.

ამ თვის 25-ს მოსკოვის საიმპერატორო თეატრი დღესასწაულობს ჩვენი თანამემამულის ცნობილი მწერლის და არტისტის ალექსანდრე სუმბათაშვილის (სცენაზე იუჟინი) 25 წლის მოღვაწეობას. მთელი რუსეთის მწერლობა და ხელოვნება სიხარულით ულოცავს და დღეგრძელობას უნატრის სახელოვან იუბილარს. ჩვენმა ქართულმა დრამატ. საზოგადოებამაც მიიღო მონაწილეობა ამ დღესასწაულში და უკვე გაუგზავნა სუმბათაშვილის ძვირფასი საჩუქარი, ვეფხვის-ტყაოსანი ვერცხლის ყდით და ქვემოთ მოყვანილი ადრესი, რომლის წაკითხვაც დაავალა ალექსანდრე ჯავაშვილს. აი ეს ადრესი:

დიდად პატრეცემულო  
ალექსანდრე ივანესძე!

დღეს ძველ სატახტო ქალაქში დღესასწაულობენ თქვენს 25 წლის სახელოვან მოღვაწეობას რუსულ მწერლობისა და ხელოვნების ასპარეზზე, ადტაცებულის ტაშის ცემით, სიყვარულით ყვავილებს აყრიან და ძვირფასს გვირგვინებით ამკობენ თვის ნიჭიერ დრამატურგს და მსახიობს...

პატარა, მრავალ ტანჯულ დაბეჩავებულ საქართველოდამაც ქართულ დრამატიკულ საზოგადოების გამგეობა უერთებს თავის ხმას ამ საერთო ადტაცების ხოროს და რუსებთან ერთად შეჰხარის თავის თანამემამულის ნიჭსა და სახელ დიდებას!.. მაგრამ ამასთანავე იგი სწუხს, რომ საქართველოს შვილი, რომელსაც ყველაფერი შესწევდა იმისათვის, რომ თავის მშობლის მშვენებად გამხდარიყო, ეხლა შეადგენს სხვის დიდებას.

ბატონო ალექსანდრე! სალამთან ერთად გიგზავნი თხსსოვრად, ივერიის უკვდავ გენიოსის თხზულებს... თხზულებას იმ ადამიანისა, რომელმაც თავის მადლიანის კალმით უკვდავყო როგორც თავისი სახელი, აგრეთვე თვისი სამშობლო!

დეე, ამ წიგნმა ხშირ-ხშირად მოგაგონოთ ხოლმე ის შორეული მხარე, ის სამშობლო დედა, რომელიც სიყვარულით თავს გველბოდათ, გირწევდათ აკვანს და თან დაგზიდოდათ ხან ტკბილს, ნახ-ჰაეროვან ნანას და ხანაც მძლავრს, საგმირო სიმღერას!..

თქვენ არ დაგვიწყებიათ სრულიად ეს ჰანგები... ამას მოწმობს თქვენი ნიჭიერი „ლალატი“!

მოიგონეთ თქვენი სამშობლოს სხვა ამონაკვნესი ჰანგები და დაუბრუნეთ მას თანამედროვე ზეინაბები და ოთარბეგები.

მამა იუჟინისა ქართველი იყო, გვარდიის აფიცერი, დედა—რუსი, მეტად განათლებული და იშვიათი ადამიანი. არტისტი ჯერ კიდევ პატარა იყო, როდესაც მისმა მამამ გვარდიის თავი მიანება და საქართველოში გადმოვიდა შუამავლად მომრგ. მერე

დამფასებლად საზნაურო ბანკში. ა. სუმბათაშვილი ტფ. პირველ გიმნაზიაში მიაბარეს, სადაც მერჯულ მწერალ ვ. ნემირ. დანჩენკოსთან ერთად სწავლობდა.

ნიჟა იუჟინმა გამოიჩინა გიმნაზიაშივე, სადაც მან „ჩაცკის“ როლი ითამაშა. გიმნაზიის გათავების შემდეგ იუჟინი მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე, სამწერლო მოღვაწეობა იუჟინმა პირველ კურსიდანვე დაიწყო. 1877 წელს მან დასწერა დრამა „ცხოვრების უფლება“, უნივერსიტეტში ყოფნის დროსვე დაიწყო თამაშობა სცენაზე. გათავებისასვე დებიუტი მისცეს (ჩაცკის როლი) მოსკოვის საიმპერატორო თეატრში და მას შემდეგ 25 წლის განმავლობაში ამ თეატრს არ მოშორებია.

დიდი ს-მსახური დასდო სუმბათაშვილმა რუსულ სცენას. რუსეთის გაზეთები ერთხმით აღნიშნავენ: თუმცა იუჟინი ნიჭიერი კაცია, მაგრამ იგი მარტო ამით არ დაკმაყოფილდა; ის ყოველთვის გულმოდგინეთ მუშაობდა ხოლმე და სცდილობდა, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, განეფითარებინა თავისი ნიჭი. იუჟინის ნიჭს ევროპაშიაც აქვს გავარდნილი სახელი.

იგი ცნობილია აგრეთვე, როგორც ნიჭიერი დრამატურგი. ამ 25 წლის განმავლობაში აუარებელი პიესა დაუწერია და რუსეთში თეატრი არ არის, სადაც იმის პიესებს არ არდგენდენ. ზოგი პიესა ევროპიულ ენებზე გადათარგმნილია და წარმოდგენილი.

ქართველი საზოგადოება კარგათ იცნობს სუმბათაშვილის პიესებს და განსაკუთრებით იმის „ლალატს“.

ალ. სუმბათაშვილი დროგამოშებით ჩამოდის ხოლმე საქართველოში. ეელა როგორც ისმის ქარ. დრამატ. საზ. აზრად აქვს მოიწვიოს „ლალატს“ წარმოდგენაზე, რათა მისივე რეჟისორობით დადგას იგი საზ. ფონდის გასაძლიერებლად.

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

სოხუმი აქაური რამე-რუმე. ბევრი რამ ხდება ჩვენს მრავალ ტანჯულ სოხუმში.

დავიწყეთ შორი-ახლოდან.

სანამ დასდგებოდა განმათავისუფლებელი ხანა, ჯერ იყო და, ნეტარ ხსენებული, ყველასგან ცნობილი „მოღვაწე“ ბ-ნი პალმი, თავის, უკაცრაული სიტყვაა, ორგანოში კაცს არა სტოვებდა, რომ კბილად არ აელო და ყველას „კრამოლნიკობასას“ აბრალებდა. სადგეჟი ს-გნათ ხოლმე და ტკბილ ლუკმათ, ნიშანში ამოღებული ყვანდა თ. ს-კია. პალმი არ ისვენებდა და ვერაგულათ ცდილობდა თავისი მსხვერპლისთვის სამარე გაეთხარა. მაგრამ,



სიყალბე და ქორის ყუთი, „ქართველ ესდეკთ“ ლელო ბურთი!

მაგრა თავზე დადგომიან „ნიშადური“ სულთამხუთი!

უეჭველია, თქვენც კარგათ იცით, თუ რა მოხდა მას ჟამსა შემდეგ...

რომ ბევრი არ გავაგრძელოთ—აქაური რუსები იმ ხანებში „ძმობასა“ და „ერთობასა“ გვპირდებოდნენ ყველას ეროვნების განურჩევლად. ეხლა კი,— როცა ყოველივე წარსული სიზმარივით იხსენიება, აშკარათა ყვირიან შინა და გარედ, რომ „ტუზემცებმა“ ჩაიგდეს ხელში მართვა-გამგებლობა ამ კუთხისა და ჩვენ „რუსებსა“, ვერასფერი ვერ მოგვიხერხებია და სხვა ამისთანები. შედეგიც მალე აღმოჩნდა: „ქეშმარიტ რუსებს“ კი ნატვრა უსრულდებათ. ახლად დანიშნული პოლიციისტერი და ბოქაული უკვე ჩამოიხდნენ. ხმა დადის, ოლქის მმართველიც თავს ანებებს აქაურობას და გადაყავთ უმაღლეს თანანდებობაზეო. ამ ამბავმა ყველა დაგვამწუხარა. თუ აქეთ მხარეს სხვა და სხვა უბედურება თავს აცდენია და აქამდისინა მშვიდობიანობა სუფევდა, ეს სულ ნაყოფი იყო თ. ჯანდიერის დაუღალავის შრომისა, მისი თანამოღვაწისა თ. ნ. თავდგირიძისა და რამოდენიმე სხვა პატიოსან პირთა.

ეხლა კი, ცხონებულ პალმის მაგიერად, „ბატონ-პატრონათ“— „ლატარიაში ამოგვივიდა“ ვიღაც (ჩვენ სოხუმს, თუ ერთ მხარედან არა, მაორე მხარედან მაინც ბედი „ულიმის“ და „მფარველობასა“ უწევს!..) „И. Н.“ თავის „ნამდვილ“ ამხანაკებში წოდებულია „ილიუშათ“. ეგ გახლავსთ

კორესპონდენტი ბ.ნ შიო დავიდოვის და საშა ნიკიტინისა გაზ. „ჩერნ. ვესტ-“.

ეს ვაჟბატონი „ილიუშა“, აგერ რამდენი ხანია რაც ჩასცივებია ქალაქის გამგეობას და მის მოღვაწეებსა და ათას სისულელეს და ცილის წამებას ჩმახავს. რა თქმა უნდა, ზემოდ ხსენებული შ. დავიდოვი და ნიკიტინი კვერს უკრავენ. ვაი სირცხვილო, ვაი გადაგვარების მოციქულნო!

პირადი ანგარიშებით გამსჭვალული, ეს საბრალონო კაცუნები, ლამის, არა თუ თავის ქვეყანას, კოლმეილებსაც კი გაყდიან და შეურაცყოფენ!

ამათის შემწეობით ჩვენკენ „ქეშმარიტ რუსთა“ წრე ცოტა არ იყოს, წელში გაიმართა და „საქმეს“ აპირობენ, მაგრამ ჩვენ გამოცდილობით ვიცით, რომ მათი საქმენი მულამ სასირცხვილო და საჩოთირო იყო და იქნება კიდევ.

დროა გონს მოვიდნენ ეს ვაჟბატონები, თორემ პირუთენელი მომავალი ყველას პასუხს მოსთხოვს და ანგარიშის გასწორება ვაი თუ მკაცრი და სასტიკი იყოს...

მაშინ ხომ გვიანდა იქნება თითზე კბენანი.

ტყე—შვილი.

**ჟმა და ბატონი.**


გლეხი და ბატონი მარხილით მიდიოდნენ. ჯერ ბატონი ერეკებოდა ცხენებს და გლეხი მარხილში იჯდა; ბატონი მალ-მალ იყურებოდა უკან: გლეხი ხომ არ გადმომიფარდა მარხილიდანო. მერე ჯერი გლეხს ერგო. გლეხი დაჯდა წინ კოფოზე და მარდათ გარეკა ცხენები, კარგა დიდი მანძილი რომ გაიარა, უკან მოიხედა და ბატონი კი აღარ იყო მარხილში. მოაბრუნა უკან ცხენები და ძლივს იპოვნა ბატონი, რომელიც თოვლში გორავდა. აიყვანა ბატონი, თოვლი ჩამოუბერტყა, ჩასვა მარხილში და ისევ გზა განაგრძო.

ბატონი ნაწყენი ეკათხება:

— ეს რაგორ მოხდა, ჩემო მეგობარო, მე რომ მიმყვანდი სულ უკან ვიყურებოდი, გიფრთხილდებოდი, რომ არ დამკარგოდი და შენ კი დამკარგე და კინალამ მგლის ლუკმად გამხადეო!

— ეგ იმით აიხსნება, ბატონო, რომ ჩემში შენი ხისხლი სრულებით არ არის და შენში კი ჩემი ხისხლი ბლომად არისო!!

საფაროლდი.



ოცნება — რეალ დე სარტეს ნახატი.

იუშინი რომ ჩვენსა შოშილიძო...

ივანიძა — მოსკოველები დიდს სამზადისში არიან. იუშინის იუბილე უნდა გადაიხადონ.

ნინიკა. — აფსუსი არ არის რომ ჩვენმა ისე-დაც სულით ღარიბმა საქართველომ მაგოდენა ნიჭი დიდ რუსეთს აჩუქა!?!.. რა იქნებოდა ვგ ერთი სუმბათაშვილი მაინც რომ შერჩენოდა სამშობლოს!

ივანიკა. — რა იქნებოდა და ახლავე მოგახსენებ. რაც უნდა დრამა დაეწერა სუმბათაშვილს, ქართულს ჟურნალ-გაზეთებში არ დაუბეჭდავდნენ. — რუსულიდან ნათარგმნი რომ ყოფილიყო კიდევ ჰო, ვისიმე ცნობილი ავტორისა იქნებოდა. თორემ ვი-ღაც სუმბათაშვილის ნაწერში ხეირიანი რა ეყრებო.

რაც უნდა პიესა წარედგინა დრამატიულ გამგეობისათვის პრემიას არ მისცემდნენ. — ძველებურ-დახავსებულ-რომანტიულ ყაიდაზეა ჩამოსხმულიო.

არც ერთი რეჟისორი იმის პიესას სცენაზედ ირ დადგამდა. — უშნო რამ არისო: არც ჰაუბტმანსა ჰგავს და ირც ზუდერმანსაო.

დაბეჭდავდა თავის პიესას და წიგნის მალაზიაში გაუყიდავი დაულპებოდა. — საცა კაუკკის და ენგელსის წიგნები შაურად იყიდება, ერთ აბაზს ქართული პიესისათვის რომელი ქართველი გაიმეტებდა!

სცენაზედ რომ გამოსულიყო, ჩვენი რეცენზენტები კვირაში ორჯერ მაინც გამოლანძღავდნენ — არტიტი კი არა უნიჭო ხელოსანიო. არც მიხვრა მოხვრა აქვს ლაღო მესხივეისა, არც ხმაო,

რაც მამული ექნებოდა, სულ ბინკის ვალში გიყიდებოდა. მშაერი და გაცვეთილ-გახუნებულ პალტოთი ბულვარზე უსაქმოდ ივლიდა.

და ახლა 25 წლის იუბილისთვის ბენეფის

გაუმართავდნენ და ჩვენი ქალები ბილეთებს ძოოად მოგვაჩვენებდნენ.

ბენეფისიდან ექვს თუმან-ნახევარი დარჩებოდა და მეორე დღეს მაგ ფუოსაც ექსპროპრიატორები წართმევდნენ: კაპიტალისტი ხარო... კარგია კიდევ თუ ცოცხალი გადურჩებოდა.

რიშ ბაბა.

თბილისელ იპოკრატს.

ყვავ-ყორნებმა დაინახეს არწივები ნადირობენ, იტაცებენ ცხვარ-ბატკნებსა და ყოველ დღე ნადიმობენ.

მეცხვარები ღადიოდნენ თოფითა და ზარბაზნითა, მაგრამ მაინც არწივები ვერ დააფრთხეს ვერას გზითა.

იტაცებენ ცხვრებს და ბატკნებს, ნადიმი აქვთ გამართული; ყვავ-ყორნები რომ უმზერენ, შურისაგან მოზღიფთ გული.

ერთმა ყვავმა დაიჩხავლა: ჩვენ რათ არ გავანძრევთ ხლგებს, გასუქებული ცხვრის ხორცა გ'ნა ჩვევენ კი დაგვახველებს?

ფრთა, ნისკარტი ჩვენც გვასხია, გვეძახიან ფრინველებსა, აბა ნეტა რით გვჯობიან არწივები ყვავ-ყორნებსა?

ყორნებს ძლიერ მოეწონათ სახიერო ბრძნული რჩევა და დაიწყეს სასადილოთ მსუქან ცხვრისა ამორჩევა.

დააფრინდნენ ერთსა ზურგზედ, გაუყარეს შიგ ბრტყალები... (ყვავი არწივს რომ არ ედრის რათ არ გრძნობდნენ ეს საწყლები!)

ასწივს და ველარ ზიდეს. — მძიმე იყო მეტის მეტი...

ერთმა მწყემსმა მოუქნია,  
ყვავს მოარტყა თავში კეტი!..

ცხვრის წაღებას ვინ დაეძებს,  
ფეხიც მატყლში გაეხლართათ  
და კინალამ ამ სულელებს  
ხ:თაბალა დაემართათ!..

N.

**ბედაურნი ღაიხოცენ...**

თათრის სოფელში მიიკვალა ხალხის წრფელი  
გულშემატკივარი, მისი მოჭირნახულე კაცი.

მის დასაფლავებას, მახლობელ სოფელნიც და-  
ესწრნენ, რომ უკანასკნელად პატივი ეცათ თავის  
ძვირფასი მიცვალბულისათვის.

სასაფლაოზე მიასვენეს მიცვალბული... რიგ-  
რიგათ მიუტირეს ყველა სოფლების წარმომდგენ-  
ლებმა: ვისაც რა აწუხებდა, გულ-გონების მტკი-  
ვანი გრძობა, დატირეს. სხვათა შორის, ერთმა  
ასე მიუტირა: „მოგვიკითხა ახმად აღა, აღი ჩაუმი  
ღურსუნ ეფენდი, ხალხის ხოჯა, ვაიზაში“!..  
ვინიცობაა, თუ რომ მათ გვეთხოვნ ჩვენი  
ამბავი, მდგომარეობა, ნუ შეაწყენ თავს ბევრს სა-  
უბარით. აუწყე მხოლოდ:

— ქაჩალ-კარ-ოდლი, მაიმუნ ყარიბ ეფენდი და  
ლუყ-ლუყა ნუჰ-ზადე საღრაზად გაგვიხდნენ, ამით  
სცნობენ ჩვენ სავაგლახო ყოფა-მდგომარეობას!..

კოლა რაბათელი-სამცხელი.

**შხაპანი.**

(ებრაულიდან.)

**მამა.**— რა იქნებოდა, რომ „რაც ქვეყანაზედ  
კაცებია ერთ კაცად ქცეულიყვნენ“?

**შვილი.**— ჰაი თუ კაცი იქნებოდა!

**მამა.**— რა იქნებოდა, რომ რაც ქვეყანაზედ  
ცულებია ერთ ცულად ქცეულიყვო?

**შვილი.**— ჰაი თუ ცული იქნებოდა!

**მამა.**— რა იქნებოდა, რომ რაც ქვეყანაზედ  
ხეებია ერთ ხედ ქცეულიყო?

**შვილი.**— ჰაი თუ ხე იქნებოდა!

**მამა.**— რა იქნებოდა, რომ რაც ქვეყანაზედ  
ტბებია ერთ ტბად ქცეულიყო?

**შვილი.**— ჰაი თუ ტბა იქნებოდა!

**მამა.**— ახლა რა იქნებოდა, იმ ვეება კაცს ის  
ვეება ცული რომ აედო, ის ვეება ხე მოეჭრა და  
იმ ვეება ტბაში ჩაეგდო?

**შვილი.**— ჰაი თუ შხაპანი იქნებოდა!  
**მამა.**— სულელო, შხაპანი კი ვინაა, დიდლო  
სეთის რევოლიუცია-თქო.

რიშ ბაბა.

**არც მომდევს, არც მიუვებს.**

(თათრულიდან)

— მამი, მამილო! ჰაი, მამამიი!! აქლემი და-  
დავიტირე ყანაში, ააქლემი!!

— მოიყვა შვილო!

— არ მომდევს.

— გაანებე თავი და შენ მოდი აქ.

— არც თავს მანებებს!..

ასე სჩადიან ზოგიერთები ჩვენებური „სიტყვით  
დიდები, საქმით მცირები“.

კოლა რაბათელი-სამცხელი.

**სომხური თეატრის 50 წლის თავი.**

პირველი წარმოდგენა სომხურ ენაზე გაიმართა  
მოსკოვში 27 იანვარს 1859 წელს. და იმავე წლის ივ-  
ნისში ქაღ. ტფილისში, „კატალიკეთა ქუჩაზე, კერძო  
სახლში. ეს იყო პირველი წარმოდგენა კავკასიაში.  
წარმოდგენილი იყო მღვდელი ტერ სტეფანე მანდუ-  
ნიანცის პიესა: „პეტროსისა და ბარბარეს საუბარი“

1862 წელს სტენის მოყვარეთა შორის გამჩნდა  
პირველი მსახიობი ქალი, ხოლო 1864 წლიდან შესრ-  
ვა მუდმივი სტენის მოყვარეთა გუნდი გეგორგ ჩიმოშ-  
კიანის ლიტბარობით, რომელიც დროგამოშვებით მარ-  
თავდა წარმოდგენებს.

ათხმეცნიან წლებიდან სომხური დრამატიული და-  
სი შესამჩნევად დაწინაურდა განსვენებული პოდოს და-  
მიანის წყალობით. აღამინამ სომხურ ხელაგნებაში  
მთელი ეზოქა შექმნა. ესა სომხური დასი უკვე მტკი-  
ცა ნადაგზე სდგას და საზოგადოების გული საკმაოდ  
მონადირებული ქუვს

ეს შვიდი წელიწადია რაც სომხური დრამატიული  
საზოგადოება დაარსდა, რომელსაც საზოგადოება დიდ-  
ძალ ფუფს სწირავს.

ამ ეპოქად სომხ. დრამ. საზოგ. თავმჯდომარედ  
ამორჩეული მიხეილ ჯაბარი, ახალგაზდა კაცი, ჯან-  
ღონით სავსე, მომზადებული, განვითარებული და დრამა-  
ტიული ხელაგნების ზედ მიწეებით მტრდნე.

მ. ჯაბარას თანხრობით საზოგადოება შეუდგა თა-  
ვის საკუთარი თეატრის შენებას და სრული იმედია,  
რომ ცოტას ხანში სომხურ დასს ექნება საუტსოვო სა-  
ახლსო თეატრი.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ლეგენდა „ეშმაკის“ ცხოვრებადამ.

იყო ერთი ვირ-ეშმაკა  
 ჭკუით, გულით გალახული,  
 აეკიდნა მძიმე გულა  
 ცილ-ქორებით ჩაწმახნული!  
 მიათრევდა შარა გზაზე,  
 თანა სცემდა დიპლიზიტოს  
 და მოსწონდათ მის თამაში  
 ყოველ როსკიბს, ყოველ კინტოს.  
 ტაშს ჟკრავდნენ. ისიც ვითომც,  
 მართლა დიდი გმირი იყოს,  
 კნაოდა და აჯავრებდა  
 ხან ჩოჩნის და ხან ყიყლიყოს!  
 მაგრამ ბოლოს დაიქანცა,  
 ამძიმებდა ქორის გულა,  
 საწყალს ზურგი ვადეღლიტა  
 და ნიკაპიც გაუმრულდა!  
 მაშინა სთქვა: ახ, სიკვდილო,  
 ჩემო მხსნელო, ერთად ერთო,  
 ნეტავი თუ შეღირსები,  
 მნგელოზო, ჩემო ღმერთო!  
 ვერ მოასწრო ვირ-ეშმაკამ  
 ამ სიტყვების დათაგება,  
 ჰუპლუც! ერთს წუთს ნატვრისამებრ  
 წინ სიკვდილი მიეგება!  
 — რა ინატრე, ვირ-ეშმაკა,  
 შეეკითხა გაბრიელი,  
 როგორც გაცნევ შენი ბედის  
 არც სუ არ ხარ მადრიელი!  
 — მართალია, ჩემო მეფევე,  
 ვირ-ეშმაკამ ჩაიკვნესა,  
 რაც რომ ქვეყნათ ქორი არის  
 ძთლათ აგვიკიდეს ჩვენ—ჯორებსა.  
 დამაქ ზურგით, ვეღარ შევძლ,  
 თუმც ჩენს კულსა ვირტყავ მეფე,  
 მაგრამ თავსაც ვერ ვუშვებელ  
 და ვერც მტერი მოვიგერე!  
 მიჩრჩენია აწ სიკვდილი  
 და მოგმართე გაბრიელსა,  
 იქნებ ცოდვეც მაპატიოთ  
 შემწყვანოთ სამოთხესა!  
 — აღრე არი, დიდებ-ყურავ,  
 უპასუხა გაბრიელმა,  
 ჯერ უნდა შენ გაზირონ  
 სილიბისტრომ და ნოემა!  
 მანამდე კი მე გასწავლი  
 ერთ რამე ხერხს უებარსა,

გამდიდრდები, ბეგრს იშოვი  
 თანამგრძნობელს და ქანქარას  
 სთქვი, საქვეყნოთ განაცხადე:  
 მე ვარ ქვეყნის ექიმბაში  
 იმკურნალე ამას... იმას  
 თუნდა სახლში, თუნდა გზაში!  
 შენ ვიცი რომ „ეშმაკი“ ხარ  
 და შესძლებ ამ სიცრუესა,  
 დანარჩენიც მე მომანდე,  
 როგორც მიქვლგაბრიელსა!  
 — როგორ, მე და აქიმობა?  
 არავინ არ დამჯერებს,  
 პანდურს მკრავენ ეზოდამა  
 და ჯოხს მოაფლებენ ხელებს!  
 -- ფიქრი ნუ გაქვს მე გასწავლი:  
 თუ თავს ვადგე ავადმყოფსა,  
 გაბედვით სთქვი: „მოკვდებო თქო,  
 დამერწმუნეთ გამომცნობსა“  
 მაგრამ მე თუ იქ არა ვარ,  
 იცოდე რომ ის მორჩება,  
 თუნდ ნაცარი გაულესე,  
 მე ვბრძანებ და შეერგება!

დაიჯერა ვირ-ეშმაკამ  
 და გამოდგა ჯამათში,  
 დაიძახა: მე ვარ მხოლოთ  
 ერთათ ერთი ექიმბაში.  
 საცა ნახა გაბრიელი  
 ავადმყოფის თავმდგომარე,  
 პატრონს უთხრა: არ მორჩება,  
 გაუთხარე მას სამარე!  
 საცა არა—იცოდა რომ  
 ავადმყოფი მორჩებოდა;  
 უთითხნიდა რალაც წამლეზს  
 და ვითომც თავს ევლებოდა!  
 გაბრიელმა არ გატეხა  
 თვისი სიტყვა დანაპირი  
 და გამდიდრდა ექიმბაში:  
 ოქროს კურტნით დადის ვირი!  
 მაგრამ ბედი ბედნიერსა  
 არ შერჩება დიდი ხანი.  
 თვით დიდ-ყურას წამოსტკივდა  
 ზურგი მაგრა დასაფხანი!  
 და სარცეელს მიეცენა,  
 აღარ უნდა მას სიკვდილი,  
 როგორღაც არ მოზდის ჭკვაში!  
 ფიქრობს: „როცა შევეისწავლე  
 მე ხელობა ესდენ კარგი,  
 სხვის თვალების ასახვევი,  
 ჩემს კუქისთვის კი შემარგი,



აი როგორ ღნება ცენტრალისტური ესდეკობა ეროვნულ ავტონომიასთან ბრძოლაში.

არ მგონია ეხლა მოვკვდე,  
 არცა მჯერა, არა, არა,  
 აპლორტუნებს პაწა თვალებს  
 აქეთ, იქით წარამარა!  
 მაგრამ დახე შევ ბედობას!  
 მან თვის თავით დაინხა  
 ბიჭი მიქელ გაბრიელი  
 და მეგობრებს მყის შესძახა:  
 მიმიბრუნეთ თავი იქით,  
 აქეთ რაცხა ვერ ვარ კარგა,  
 მიიბრუნეს, გაბრიელიც  
 მის თავისკენ გადიბარგა!  
 ვირ-ეშმაკამ კვლავ შეხედა,  
 სხვა მხარეზე დადვა თავი,  
 მაგრამ ისევ, ისევ, ისეც,  
 ისევ იგი სანახავი!  
 აქ მოსწყინდა გაბრიელსა,  
 წაფურჩულა: რასა ბრუნავ?  
 გადარჩენას სიკვდილიდან  
 ტყვილად ფიქრობ, ტყვილად ზრუნავ.  
 სითაც უნდა იტრიალო  
 აწ დაგიდგა შენ დრო ჟამი,  
 უნდა მოჰკვდე, არ გეძლევა  
 სიცოცხლისთვის ერთი წამი!  
 როგორც უნდა დასდო თავი,  
 ბორბალივით იტრიალო,  
 დაიკლები, ქორის გულდავ,  
 შე მასხარა, შე ტიალო!

დაათავა სიტყვა ესე  
 ჩვენმა მიქელ გაბრიელმა,  
 და ჯოჯოხეთს მიიბარა  
 თვისი სული ყურებ-გრძელმა?

წკაპურტი.

პასუხი ბ.ნ კლემვის.

როგორც სჩანს, „ნიშადურის“ უკანასკნელ ნომერს  
 ჯეროვანად ამოუცხია თავის მწვავე სუსხი ვიღაც პლებების-  
 თვის და ისე გაუმწვავება საბრალო, რომ დარეტანებული  
 ბოდგას მოყოლია და სამართალში გამოყოლის მ გვირად,  
 ღობე-ყორეს ედება.

სიმართლის აღდგენა თუ გაინტერესებთ, სიტყვას ბან-  
 ზე რადას ამდებთ? ან ვინა ბრძანდებით თქვენ პლებები, რომ  
 ვეჭილობა გიკისრიათ? და ისიც ისე უდიერად, რომ ჩვენ  
 მართლის ძიებას ცილისწამებას უწოდებთ და ჩვენ მართე-  
 ბულს და კანონიერ მოთხოვნილებას პროვოკაციის სახელით  
 ნათლავთ? რა საბუთი გაქვთ, რომ თქვენი პირახეული ლა-  
 პარაკი ვისმე ენ რასმე დაუმტკიცებს იმის მეტს, რომ ჩვეუ-  
 ლებრივის ხრიკებით ფონს გინდათ გახვიდეთ!

ჩვენ მოვითხოვთ,—ნუ შეგვიზღუდავთ თავის მართ-  
 ლების უფლებებს, სექვე პირი გამოგვყვეს სამედიატორო  
 სისამართლოში-თქო და გამოაშკარადებდა თქო ყოველივე  
 სიყალბე, ზთგიერთი ვაჭბატოხების ხელმრუდობა და ენამ  
 რუშობა. მერე თქვენ რას გვეუბნებით?!

თქვენ გაიძახით, რომ თავაძეს ათასჯერ დაუმტკიცეთ  
 ბრალდებამ და მაინც ვერაფერი გაიგოვო... დამტკიცებაც  
 არის და დამტკიცებაც. მოსამართლევ არის დ მოსამართ-  
 ლევ. თქვენ დაუმტკიცეთ ცალმხრივი კომისიე.  
 ბით და ჯადღონურ მარჩილებით, უდანაშაულოს დანაშაუ-  
 ლი სიმართლის ასეთი აღდგენა თქვენ ბანაკს დიდი ხანია  
 ჩვევია და ასეთი სამართალი მართა თქვენსთანებს თუ დაა-  
 კმაყოფილებს... ჩვენ ვითხოვთ პირუთვნელ, მიუღლომელ გა-  
 მოძიებას და ჭეშმარიტს სამართალს.

ბ-ნო პლებები, თქვენ ჩემი ნაჯღაბნი არ მოგწონთ. რა  
 ექნათ, ყ-ელა ხომ ისეთი განსწავლულნი არ გამოვლენ, რო-  
 გორც თქვენა და თვენისთანები ბრძანდებით; ნათქვამია, არ  
 ცოდნა—არცოდგავ და პირქით ცოდნის ბოროტად  
 მოხმარება შეუწყნარებელი ცოდა...

გაიხსენეთ უკანონო-უსამართლოდ დასჯილი დრეფუ-  
 სი, მაგრამ სიმართლემ მაინც თავი გაიტანა და იგი გამარ-  
 ჯვებული დარჩა. ჩვენ თავაძე სულიწმიდით არ მიგვანია,  
 მაგრამ ეჭვი გვებადება, როცა თქვენ პასუხის გაცემას ისე  
 გაურბიხართ, როგორც ეშმაკი საკმეველს.

მაშ ასე: ან სამედიატორო სამართალი, ან გამოტყვით  
 სიცრუეში.

ქარხნის მუშა.

რედაქტ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.